თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №6

თბილისი, 22 სექტემბერი, 2020

სხდომა დაიწყო 11:07 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფანიძე;
- საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო ცაციაშვილი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძე;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე რატი ბრეგაძე;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;
- საქართველოს მეცნიერების, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი წოწკოლაური;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული სამსახურის უფროსი ბექა ზეგარდელი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი ლევან ჯღარკავა;

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;
- კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) მოვალეობის შემსრულებელი სოფიო ტეფნაძე;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი ბექა ძამაშვილი;

კომისიის სამდივნოს წევრები:

- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- ნათია თევზაძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი;

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი გიორგი კალანდარიშვილი;

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- მპგ „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“ – შავლეგ ჭყოიძე;
- „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – გურამ მაჭარაშვილი;

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი“ (IFES) – დავით ღონღაძე;
- USAID – ხათუნა კუნჭულია;
- ევროკავშირის წარმომადგენლობა – თეა ფუტკარაძე;

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ – მაია ხარაძე;
- „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – ლევან ნატროშვილი;
- „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
- „სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ცენტრი“ – ნინო ჩარკვიანი;
- „მრავალეროვანი საქართველო“ – დარეჯან გიორბელიძე;
- „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“ (CDD) – პაატა ყვავაძე;
- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
- „სამოქალაქო მრჩეველთა საზოგადოებრივი საბჭო“ – მამუკა ტუსკაძე;
- „დემოკრატიული არჩევანი“ – ქეთევან გვიშიანი;
- „სამოქალაქო ჩართულობისა და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“ – ქეთი სალაძე;
- „პლატფორმა – სამოქალაქო ინიციატივა“ – მაკა ბენაშვილი;
- „დემოკრატიული განვითარების ახალგაზრდული ცენტრი“ – გოდერძი მაისურაძე;
- „ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის“ – მიხეილ ანდღულაძე;
- „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი;
- „საზოგადოებრივი დამცველი“ – ირინა ფუტკარაძე;
- „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“ – ვლადიმერ ბოჟაძე.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა გოჩა ლორთქიფანიძემ, სხდომა გახსნა 11:07 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. სხდომის მიმდინარეობისას მან დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის №560 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

ბატონმა გოჩამ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილის, ბატონი გოჩა ლორთქიფანიძის, მისალმება;

2. მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის განხილვა, რომელიც გაეგზავნა შესაბამის უწყებებს რეაგირებისთვის;

3. პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან ინფორმაციის მოსმენა;

4. სხვადასხვა.

სხდომის დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე გადავიდა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციისა და მასზე შესაბამისი უწყებების მიერ განხორციელებული რეაგირებების განხილვაზე. პირველ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" (ISFED) ანგარიშში იყო გახმიანებული და შეეხებოდა ნინოწმინდაში პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან შესაძლო გათავისუფლებას, ბატონმა გოჩამ სიტყვა გადასცა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს, ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს.

ბატონმა ნიკოლოზმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიდან მიღებული განმარტება და ინფორმაცია, რომლის თანახმად, სახელმწიფო რწმუნებულსა და მის ადმინისტრაციას არავითარი სამართლებრივი ბერკეტი არ გააჩნიათ, ჩაერიონ მუნიციპალიტეტების საკადრო პოლიტიკაში. შესაბამისად, სიმართლეს არ შეესაბამება ინფორმაცია სიუჟეტში გაშუქებულ მოვლენებში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილის ჩართულობასთან დაკავშირებით. აქვე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო რწმუნებული, მისი მოადგილეები თუ რწმუნებულის ადმინისტრაციის თანამშრომლები სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მიზნით და უფლებამოსილების ფარგლებში თითქმის ყოველდღე სტუმრობენ რეგიონის მუნიციპალიტეტებს. შესაბამისად, ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ 14 აგვისტოს სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე იმყოფებოდა ნინოწმინდის

მუნიციპალიტეტში. ამასთან, სავარაუდოა, რომ მოვლენები განგებ დამახინჯდა და მიზანმიმართულად დაუკავშირდა სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილის სახელს, რაც გახდა ცრუ ინფორმაციის გავრცელების საფუძველი.

ამავე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ისაუბრა მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებულ განმარტებაზე, რომლის თანახმადაც დგინდება, რომ რამდენიმე ასაკოვანმა თანამშრომელმა პირადი ინიციატივით დაწერა განცხადება სამსახურიდან წასვლასთან დაკავშირებით, რამდენიმეს კი გაუვიდა ხელშეკრულების ვადა. კერძოდ, საკითხი შეეხება 70 წელს გადაცილებულ 6 მოხელეს, რომლებმაც საკუთარი ინიციატივით განცხადებით მიმართეს მერს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. დანარჩენ 12 თანამშრომელთან დადებული იყო ადმინისტრაციული ხელშეკრულება და მერის გადაწყვეტილებით ვადის ამოწურვის შემდეგ მათ ვადა აღარ გაუგრძელდათ (ეს არის მერის კანონიერი უფლებამოსილება). ამავე საკითხზე წარმოდგენილ ინფორმაციაში მოყვანილი გარემოებები, ასევე, პირადი ან პოლიტიკური ინტერესის არსებობა არ დასტურდება.

მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ მომდევნო რამდენიმე ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომლებიც ISFED-ის ანგარიშში წარმოდგენილ ხარაგაულისა და ფოთის მუნიციპალიტეტებში შესაძლო ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების საკითხს შეეხებოდა, ბატონმა ნიკოლოზმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტებიდან ინფორმაციის მიღებისთანავე აცნობებდა კომისიას.

ISFED-ის ანგარიშში ასახულ ინფორმაციასთან დაკავშირებით აბაშაში შესაძლო ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების თაობაზე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული განმარტება, რომლის თანახმად, საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო მიმდინარე წლის 1-ლი სექტემბრიდან და, რამდენადაც ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციაში მითითებული ფაქტები საჯარო მოხელეების წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის თაობაზე თარიღდება 25 ივლისით და 14, 21, 26 აგვისტოთი, ზემომითითებულ თარიღებში დაწყებული არ იყო წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია). შესაბამისად, ვერც საჯარო მოხელეები შეძლებდნენ მასში მონაწილეობის მიღებას.

რაც შეეხება 25 ივლისს აბაშის მუნიციპალიტეტში საოჯახო სამედიცინო ცენტრში აბაშის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის უფასო სამედიცინო-პროფილაქტიკური გამოკვლევების ჩატარებას, მუნიციპალიტეტის განმარტებით, მსგავსი ღონისძიებები არაერთხელ ჩატარებულა, რაც არ ფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. მუნიციპალიტეტის მერია მხოლოდ დახმარებას უწევს მათ მოქალაქეების ინფორმირების საკითხებში.

ინფორმაციის იმ ნაწილზე, რომელიც შეეხებოდა საკრებულოს აპარატის უფროს გოჩა ხურცილავას სამუშაო საათებში „ქართული ოცნების" შტაბში შესაძლო ყოფნის ფაქტს, ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა განაცხადა, რომ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით კომისიის სამდივნოში წარმოდგენილია ბატონი გოჩა ხურცილავას ახსნა-განმარტება. ახსნა-განმარტებითი ბარათის თანახმად, მითითებულ შენობაში განთავსებულია რამდენიმე ობიექტი, მათ შორის, პარტიული ოფისიც. ბატონი გოჩა ხურცილავას ამ შენობაში ყოფნის მიზეზს წარმოადგენდა მისი შეხვედრა სამართლიანი არჩევნების წარმომადგენელთან საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით.

მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ მომდევნო ინფორმაციასთან მიმართებით, რომელიც ISFED-ის ანგარიშში წარმოდგენილ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში „ქართული ოცნების" კანდიდატების წარდგენაზე საჯარო მოხელეების დასწრებას შეეხებოდა, ბატონი ნიკოლოზ როსებაშვილისათვის მუნიციპალიტეტიდან მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, განათლებისა და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი ქეთევან დევაძე 31 აგვისტოს მდგომარეობით იმყოფებოდა კუთვნილ შვებულებაში, ხოლო საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ტარიელ ნაკაშიძემ და ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა მირზა ბახტაძემ ღონისძიებაზე დასწრების მიზნით მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით გამოიყენეს კუთვნილი შესვენების დრო.

ზემოაღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოსმენის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა უწყებების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დაცვის თაობაზე საჯარო მოსამსახურეთა კიდევ ერთხელ გაფრთხილების აუცილებლობას პრევენციის მიზნით.

ISFED-ის მიერ გამოვლენილ შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით (ონის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული რესურსის შესაძლო გამოყენების ფაქტზე) ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა, მუნიციპალიტეტიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, აღნიშნა, რომ 28-29 ივლისს ონის

მუნიციპალიტეტში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დიდი ზარალი განიცადა მუნიციპალიტეტმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ. რამდენიმე სოფელი მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს და, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მხრიდან ადგილობრივთათვის შესყიდულ იქნა საკვები პროდუქტები, მათ შორის, ფქვილი.

რაც შეეხება გოჩა ენუქიძეს, იგი მოქმედი მაჟორიტარი დეპუტატია და, შესაბამისად, მონაწილეობდა მოსახლეობის დახმარების საკითხში, როგორც პასუხისმგებელი პირი (5 აგვისტო კანონმდებლობით გათვალისწინებულ წინასაარჩევო აგიტაციის პერიოდში არ ხვდება).

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ონის მუნიციპალიტეტის „ფეისბუქით" გაზიარებულ პოსტებში არ იკვეთება არანაირი მოწოდება რომელიმე კანდიდატის ან მხარდასაჭერად, ან საწინააღმდეგოდ. ამასთან, ინფორმაცია გაზიარებულია მიმდინარე წლის აგვისტოში. ამდენად, არც ეს დრო ემთხვევა საარჩევნო კანონით დადგენილ საარჩენო პერიოდის 60-დღიან ვადას.

მედიამონიტორინგის შედეგად გამოვლენილ მომდევნო ორ ინფორმაციაზე, რომლებიც შეეხებოდა სოფელ კაბალში ამომრჩეველთა პირადი მონაცემების შესაძლო უკანონო მოპოვებას და ზესტაფონის მერის წინასაარჩევნო კამპანიას სამუშაო საათების დროს, კვლავ ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა ისაუბრა. კაბალის საკითხთან მიმართებით მან სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო მუნიციპალიტეტიდან მოწოდებული განმარტება, რომლის თანახმად, საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით, პანდემიის დროს შექმნილი პრობლემებიდან გამომდინარე, მოქალაქეებს მთავრობის გადაწყვეტილებით მიეცათ 300-ლარიანი ერთჯერადი დახმარებები. მუნიციპალიტეტის განმარტების შესაბამისად, რეგისტრაცია ზემოაღნიშნულ პროგრამაზე დასრულდა 2020 წლის 1-ლ აგვისტოს. მიუხედავად ამისა, ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობას ჰქონდა მცდარი ინფორმაცია (მუნიციპალიტეტისთვის უცნობია, საიდან), რომ პროგრამა გაგრძელდებოდა და რეგისტრაცია 1-ლი სექტემბრიდან განახლდებოდა. შესაბამისად, მოსახლეობა საბანკო დაწესებულებებში საკუთარი ინიციატივით მიდიოდა და ხსნიდა ანგარიშებს. აღსანიშნავია, რომ არცერთ ოფიციალურ პირს მათთვის ამის შესახებ ინფორმაცია არ მიუწოდებია და არანაირი პირადი ინფორმაციის მიტანა/შეგროვება მუნიციპალიტეტის სტრუქტურებში არ ხდებოდა. მუნიციპალიტეტი განმარტავს, რომ არავითარი კავშირი მუნიციპალიტეტის ოფიციალურ პირებს ამ პროცესებთან არ აქვთ.

ბატონმა ნიკოლოზმა ზესტაფონის საკითხთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებულ განმარტებაზე დაყრდნობით, აღნიშნა, რომ „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ განსაზღვრულ პირთა ჩამონათვალში (მე-2 მუხლის „ხ“ პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი წარმოადგენს პოლიტიკური თანამდებობის პირს, ხოლო ამავე კანონის 45-ე მუხლის მე-4 ნაწილი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელთაც ეკრძალებათ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა და აგიტაციაში მონაწილეობა) არ არის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი. შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერს არ ეკრძალება წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტი არ იზიარებს ზესტაფონში „ლელოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ანა ბიბილაშვილის შეხედულებას იმის თაობაზე, რომ გიორგი გოგლიჩიძის მიერ პარტიის აქტივისტებთან შეხვედრა და წინასაარჩევნო აგიტაციის ჩატარება კანონდარღვევას წარმოადგენს.

რაც შეეხება სიტყვიერ და ფიზიკურ დაპირისპირებას ანა ბიბილაშვილსა და მუნიციპალიტეტის მერს შორის, ბატონი ნიკოლოზისთვის მუნიციპალიტეტიდან მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, დაპირისპირება პროვოცირებული იყო ანა ბიბილაშვილის მიერ და ატარებდა ცალმხრივ ხასიათს. ამავე ინფორმაციით, ფიზიკურ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია.

ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა ისაუბრა სხდომაზე განსახილველ შემდეგ საკითხზეც, რომელიც შეეხებოდა ზუგდიდში „ლელოს“ ღონისძიების საჯარო მოსამსახურეების მიერ ჩაშლის მცდელობას. მან წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული განმარტება, რომლის თანახმად, ინფორმაციაში მოხსენიებული ორი საჯარო მოსამსახურე - ვახტანგ ზარანდია და დალი ლატარია - „ლელოს“ ღონისძიებაზე იმყოფებოდნენ არასამუშაო საათებში. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა ზემოაღნიშნულ თანამშრომლებს მისცა სიტყვიერი გაფრთხილება და შეახსენა საჯარო მოსამსახურეთათვის დაწესებული ის შეზღუდვები, რაც წინასარჩევნო პერიოდში მოქმედებს.

ზუგდიდში მომხდარ მეორე შემთხვევაზე („ლელოს“ აქტივისტებთან საჯარო მოსამსახურეების დაპირისპირება) ისაუბრა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა ნინო

ცაციაშვილმა. როგორც მან აღნიშნა, 2020 წლის 9 სექტემბერს ქალაქ ზუგდიდში დადიანების სასახლის ეზოში შეიკრიბნენ პოლიტიკური პარტია „ლელოს“ მხარდამჭერები, სადაც გაიმართა პარტიის ლიდერების შეხვედრა მათ თანამოაზრეებთან. შეხვედრაზე იმყოფებოდა პარტიის თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძეც. შეხვედრის მიმდინარეობისას მათთან მისულ ოთხ მოქალაქეს პარტიის მხარდამჭერებთან მოუვიდა სიტყვიერი შელაპარაკება. ოთხი პიროვნებიდან ერთ-ერთმა შეაგინა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა შეკრებილ მოქალაქეებს. ადგილზე იმყოფებოდნენ ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლები, რომლებმაც არ მისცეს შესაძლებლობა მხარეებს, გაემწვავებინათ ვითარება. პოლიციის ჩართულობისთანავე დასახელებული პირები განერიდნენ შეკრებილ მოქალაქეებს. ზემოაღნიშნულ ფაქტზე ზუგდიდის პოლიციის რაიონულ სამმართველოში დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით. საქმეზე მოპოვებული მასალები შემდგომი რეაგირებისათვის კანონით დადგენილი წესითა და ვადაში წარიმართება სასამართლოში.

კომისიის თავმჯდომარემ ჭიათურაში ამომრჩეველზე შესაძლო ზეწოლის ფაქტთან დაკავშირებით კვლავ ნიკოლოზ როსებაშვილს გადასცა სიტყვა. მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებულ განმარტებაზე დაყრდნობით, ბატონი ნიკოლოზის თქმით, ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მაქსიმალურ ძალისხმევას ავლენს, რათა ხელი შეუწყოს საპარლამენტო არჩევნების სამართლიან და კონკურენტულ გარემოში ჩატარებას. მუნიციპალიტეტისთვის მიუღებელია ამომრჩეველზე ნებისმიერი სახით ზეწოლა და საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა. რაც შეეხება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გიორგი კაპანაძის ინფორმაციას საკრებულოს წევრ გოგიტა ვაშაძის მიერ სოფელ პერევისაში მოქალაქის დაშინების ფაქტზე, გიორგი კაპანაძის მონათხრობი სინამდვილეს არ შეესაბამება. ტელეეთერით გასულ სიუჟეტში ბევრი უზუსტობაა: საკრებულოს წევრია გიორგი ვაშაძე და არა გოგიტა ვაშაძე. მოწოდებული განმარტების თანახმად, ბატონმა გიორგი კაპანაძემ საკრებულოს წევრის სახელიც კი არ იცის სწორად. ასევე, არ იცის მოქალაქის სახელი და გვარი, რომელიც თითქოსდა დააშინა საკრებულოს წევრმა (ქალბატონი ელზა გაჩეჩილაძე ელენე არჩვაძეა (გაჩეჩილაძე მეუღლის გვარია), ამასთან, ბიბლიოთეკაში მუშაობს ქალბატონი ელენეს ქალიშვილი თეა გაჩეჩილაძე და არა თვითონ). გარდა ამისა, ბატონ გიორგის არ დაუსახელებია არანაირი წყარო, საიდანაც ეს ინფორმაცია მიიღო. საკრებულო დაშინების ფაქტის მოკვლევის მიზნით დაუკავშირდა ორივე

მხარეს – როგორც საკრებულოს წევრ გიორგი ვაშაძეს, ისე ელენე არჩვაძის ოჯახს, კერძოდ, მის ქალიშვილ თეა გაჩეჩილაძეს. ორივე მხარე კატეგორიულად უარყოფს ამგვარი ფაქტის არსებობას.

მომდევნო ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა „ლელოს“ წევრ ირაკლი მატუაზე საჯარო მოსამსახურის მიერ განხორციელებულ შესაძლო მუქარასა და ზეწოლას და მისთვის 600 ლარის შეთავაზებას ზუგდიდის დატოვების სანაცვლოდ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელმა, მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, განაცხადა, რომ ოთარ ქადარიას წლებია, მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს ირაკლი მატუასთან. „ლელოში“ გაწევრების შემდეგ მატუა ხშირად მიდიოდა ხოლმე სამსახურში ქადარიასთან და უამბობდა პარტიაში წარმოქმნილი თავისი პრობლემების შესახებ. თავის მხრივ, ქადარიამ მას რჩევა მისცა, ყოფილიყო იქ, სადაც თავს კომფორტულად იგრძნობდა. რაც შეეხება ფინანსურ დახმარებას, ბატონმა ნიკოლოზმა განმარტა, რომ ქადარია არაერთხელ დახმარებია მატუას, მათ შორის, ფინანსურად. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ირაკლი მატუა ქადარიას ესესხა თანხას თბილისში გასამგზავრებლად და საცხოვრებლად. ქადარიას თქმით, არანაირ მუქარას, მოსყიდვას თუ ზეწოლას მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება პარტია „ლელოს“ მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე გახმიანებულ ინფორმაციას ზემოაღნიშნულ შემთხვევაში საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თაზო ფაცაციას მონაწილეობასთან დაკავშირებით, მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

სიტყვით გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ზუგდიდის საკრებულო ოთარ ქადარიას ქმედებაში ვერ ხედავს მოსყიდვის ან მუქარის ნიშნებს და მიზანშეწონილად არ მიაჩნია მის მიმართ რაიმე ზომის გამოყენება.

ამავე შემთხვევაზე ისაუბრა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა ნინო ცაციაშვილმაც. მისი თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე ირაკლი მატუას იძულების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 150-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა ინტერნეტგამოცემა „Newposts“-ში გავრცელებული ინფორმაცია, რომ პოლიტიკური გაერთიანება „ლელოს“ წევრ ირაკლი მატუას მიმართ ,,ქართული ოცნების“ წევრებმა განახორციელეს ზეწოლა.

გამოძიების ფარგლებში მიმდინარეობს საქმესთან შემხებლობაში მყოფი მოწმეების გამოკითხვა, ამოღებულია ირაკლი მატუას მობილური ტელეფონი და ტარდება შესაბამისი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები. როგორც ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

მედიამონიტორინგით მოპოვებულ შემდეგ ინფორმაციაზე (მედიაში 21 სექტემბერს გავრცელებული ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტი მარნეულში) რეაგირების კუთხით ბატონმა ნიკოლოზმა განაცხადა, რომ ფაქტის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიეწოდა მუნიციპალიტეტს და პასუხის მიღებისთანავე გადაეცემა კომისიის სამდივნოს.

კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, რეაგირების შედეგს განიხილავენ მომდევნო სხდომაზე.

ამავე საკითხის ირგვლივ ისაუბრა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმა.

მისი განცხადებით, საკითხთან დაკავშირებით მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიაში შესულია ორი საჩივარი, რომლებშიც მოთხოვნილია რეაგირება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებთან მიმართებით. ახალი საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, მსგავსი ადმინისტრაციული წარმოებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციას განესაზღვრა 10-დღიანი ვადა. საქმის შესწავლა დაწყებულია და კომისია მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას აღნიშნულ ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე წინა სხდომაზე განხილულ ორ საკითხს დაუბრუნდა (1. მედიაში გავრცელებული ინფორმაცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გიორგი კაპანაძის მიერ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ პაატა კვიჟინაძისა და მოქმედი მაჟორიტარისა და მერობის კანდიდატ კობა ლურსმანაშვილის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში დადანაშაულება; 2. ემიგრანტების ხმების მობილიზებასთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ მიერ ბრძოლის ახალი მეთოდების“ თაობაზე).

პირველ საკითხთან დაკავშირებით, როგორც ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა განაცხადა, 2018 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში შევიდა სოფელ ბაზალეთის, ჭიპაშვილების უბნის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება გზის კეთილმოწყობის შესახებ, რაზეც 2018 წლის 25 ოქტომბერს მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაცემული პასუხის თანახმად, მოსახლეობას

დაჰპირდნენ, რომ პროექტი წარდგენილი იქნებოდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში დაფინანსების მოსაპოვებლად და დაფინანსების შემთხვევაში მოხდებოდა აღნიშნული გზის რეაბილიტაცია. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს №1578 დადგენილებით გამოიყო თანხა, რომელიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აისახა საკრებულოს 2020 წლის 26 აგვისტოს დადგენილებით. სიტყვით გამომსვლელის თქმით, ეს ინფორმაცია მიეწოდა კომისიის სამდივნოსაც.

იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ბექა ძამაშვილმა, ბატონ ნიკოლოზს მიმართა დამაზუსტებელი კითხვით ხარაგაულის საკრებულოს მაღალჩინოსნის მიერ სოციალურ ქსელში განცხადების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, სადაც მან გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის „ოცნებიდან“ წარდგენილ კანდიდატებს მადლობა საგანგებოდ გადაუხადა. ბატონი ნიკოლოზის თქმით, დამატებითი ინფორმაცია კომისიის სამდივნოს დღის ბოლომდე მიეწოდებოდა.

მეორე საკითხთან დაკავშირებით, ბატონი ნიკოლოზ როსებაშვილის განცხადებით, აუდიტის სამსახურიდან ფაქტის კომპეტენციის ფარგლებში შესწავლის შედეგად მიღებული მოკვლევის თანახმად, დადგინდა, რომ ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორ გვანცა სიგუას გავრცელებული ხმოვანი შეტყობინების ადრესატები იყვნენ მისი მეგობრები. ამ ხმოვანი შეტყობინების პოლიტიკური კუთხით გამოყენება სცადეს კონკრეტული პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერებმა – თითქოს გვანცა სიგუა ზეწოლას ახორციელებდა მის თანამშრომლებზე. ზემოთქმული არ შეესაბამება სინამდვილეს და, მუნიციპალიტეტის შეფასებით, წარმოადგენს მორიგ პროვოკაციას.

ამასთან, ბატონმა ნიკოლოზმა ახსენა, რომ წინა სხდომაზე საუბარი იყო რუსთავში პოლიტიკური პარტიის – „ევროპული საქართველოსთვის“ – შესაძლო ხელის შეშლაზე სააგიტაციო მასალის გაკვრის დროს და ამასთან დაკავშირებით გარკვეული ფაქტები იყო დასაზუსტებელი. როგორც შესწავლის შედეგად გაირკვა, ღამის საათებში კონკრეტულ ქუჩაზე აკრავდენ სააგიტაციო მასალას არასრულწლოვნები, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ერთი სრულწლოვანი პირი. სააგიტაციო მასალის გაკვრის დროს ქუჩაზე გაიარა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ა(ა)იპ-ის თანამშრომელმა. მან გააფრთხილა ისინი, რომ ამ ქმედებისთვის შეიძლებოდა დაჯარიმებულიყვნენ. ამ ფაქტმა მათ სრულწლოვან ხელმძღვანელთან გამოიწვია სიტყვიერი დაპირისპირება.

თითოეულ საკითხზე უწყების პოზიციის მოსმენის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს შესაძლებლობას აძლევდა დაესვათ კითხვები ან წარმოედგინათ დამატებითი ინფორმაცია. ამასთან, კომისიის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია საჯარო მოხელეებმა არა მხოლოდ ზედმიწევნით დაიცვან კანონმდებლობის მოთხოვნები, არამედ საკუთარი პროფესიული საქმიანობა წარმართონ ისე, რომ თუნდაც აღქმა არ დარჩეს მათი მხრიდან საარჩევნო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

კომისიამ მედიამონიტორინგით მოპოვებული მასალების ამოწურვის შემდეგ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული მომდევნო საკითხი (მოწოდებული ინფორმაცია პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან).

ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილმა („ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის") განაცხადა, რომ მედიაში არაერთგზის გავრცელდა ინფორმაცია პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით შანტაჟზე საჯარო მოსამსახურეების მხრიდან.

ქალბატონმა ნინო ცაციაშვილმა (საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე) აღნიშნა, რომ ფაქტთან დაკავშირებით ქალბატონმა ტატიანამ წინა სხდომაზე მოითხოვა გიორგი ვაშაძის დაბარება გამოკითხვაზე პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გასაჯაროებასთან დაკავშირებით, მაგრამ გიორგი ვაშაძემ, მიუხედავად უწყების მხრიდან მრავალგზის დაკავშირებისა, უარი განაცხადა პოლიციაში გამოცხადებაზე რაიმე ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით. ქალბატონი ნინოს განცხადებითვე, უამრავი ინფორმაცია შემოდის კომისიის მხრიდან გარდა იმ საკითხებისა, რაც სხდომაზე განიხილება. ეს ინფორმაცია არ რჩება რეაგირების გარეშე და უკუკავშირით მიეწოდება სამდივნოს. ამასთან, შს მინისტრის მოადგილემ მოუწოდა სხდომის მონაწილეთ, წინასწარ მიეთითებინათ მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები, რათა შემდგომ შესაძლებელი ყოფილიყო რეაგირების შედეგების დროულად გადმოცემა კომისიისთვის.

ქალბატონმა ნატალიამ სხდომის მიმდინარეობისას კომისიის სამდივნოს ელექტრონულად მოაწოდა ინფორმაცია მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ საიმერლოს „ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ზაურ დარგალის მოსახლეობასთან შეხვედრის თაობაზე. ამ შეხვედრაზე დაფიქსირებული ავტომობილი მარნეულის მერიის შპს „მარნეულის სოფწყლის" დირექტორ ნაბი აბდულაევს ეკუთვნის და არის ამ შპს-ის ბალანსზე. როგორც მომხსენებელმა

აღნიშნა, ეს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევაა. აღნიშნული ინფორმაცია რეაგირების მიზნით დაუყოვნებლივ გადაეგზავნა შესაბამის უწყებებს.

ვლადიმერ ბოჟაძემ („სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“) თხოვნით მიმართა სხდომის მონაწილეთ, კომისიის მანდატის შეზღუდულობის მიუხედავად, ეხება თუ არა ზოგიერთი საკითხი საჯარო მოსამსახურეების მხრიდან საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებს, გარკვეული საკითხები მაინც განხილულიყო კომისიის შეხვედრებზე, რადგან სამოქალქო სექტორს, მედიასა და პოლიტიკურ პარტიებს აქვთ დიდი მოლოდინი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი კომისიის, როგორც პირველწყაროს, საშუალებით მიიღოს გადამოწმებული სრულყოფილი ინფორმაცია.

ბატონმა მამუკა ტუსკაძემ („სამოქალაქო მრჩეველთა საზოგადოებრივი საბჭო“) კვლავ გაამახვილა ყურადღება მის მიერ წინა სხდომაზე წამოჭრილ საკითხზე და აღნიშნა, რომ მისი პარტიის მიმართ უკვე აშკარაა ხელოვნური პრობლემების შექმნა. მისი თქმით, კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება მის მიერ წინა სხდომაზე გახმიანებული ნატო ალთუნაშვილის თანამდებობაზე დანიშვნა კონკურსის შედეგად მამის პოლიტიკური აქტივობის გამო, ასევე, ისევ აქტუალურია რუსთავში მისი უძრავი ქონების რეგისტრაციის საკითხი, რაც ქმნის ვარაუდს, როგორც, პარტიის ხელმძღვანელმა, ვერ გამოიყენოს საარჩევნოდ მოძიებული სახსრები და ვერ მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა. იგი კვლავ ითხოვს გამოძიების შეწყვეტას.

ქალბატონმა ნინო ცაციაშვილმა საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საქმეზე ინტენსიურად მიმდინარეობს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. ამასთან, ოპერატიულად მოიძიებენ ყველა მტკიცებულებას და შემაჯამებელი გადაწყვეტილებაც დროულად მიიღება.

ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა აღნიშნა (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა საკონკურსო კომისიის 2020 წლის 17 აგვისტოს სხდომის ოქმის შედეგებიდან გამომდინარე), რომ კონკურსში მონაწილე რამდენიმე კანდიდატის დანიშვნის პროცესი კვლავ მიმდინარეობს და ამ ეტაპზე დასრულებული არ არის. კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ვაკანტურ პოზიციაზე შერჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე მონაწილე პირებს ეცნობებათ დადგენილი წესით.

ქალბატონმა დარეჯან გიორბელიძემ („მრავალეროვანი საქართველო“) მარნეულის მუნიციპალიტეტში ზაურ დარგალის მოსახლეობასთან შეხვედრის რამდენიმე საკითხზე

გაამახვილა ყურადღება, სადაც, მისი თქმით, გამოიკვეთა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტები, აგიტაციის ნორმათა დარღვევა და აღნიშნა, რომ ელოდება ხსენებულ საკითხზე ინფორმაციის მიწოდებას.

მანვე გაიხსენა დავით ნებიერიძის მიერ (საზოგადოება „ივერიის“ წარმომადგენელი) 11 სექტემბერს „ფეისბუქში“ გამოქვეყნებული პოსტი, სადაც „ქართული ოცნების“ ისნის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი კახი კახიშვილი სომეხი ეროვნების მოქალაქედ მოიხსენია. მისი თქმით, ხსენებული ტექსტი ქსენოფობიურ ნიშნებს შეიცავს, რამაც შესაძლოა, წაახალისოს დისკრიმინაცია და გამოიწვიოს ამომრჩევლის დაყოფა ნეგატიურ ჭრილში. მან თხოვნით მიმართა კომისიას, კომისიის ფორმატის ფარგლებში მიეწოდოს ინფორმაცია დავით ნებიერიძის პარტიულობის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, მსგავსი საკითხების განხილვა სცდება კომისიის მანდატს; კომისია ემიჯნება დისკრიმინაციის შემცველ ნებისმიერ განცხადებას, მაგრამ, ამასთან, ქალბატონი დარეჯანის თხოვნა იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების თაობაზე არ განეკუთვნება კომისიის კომპეტენციას და შეუძლია, მიმართოს ცესკო-ს. ბატონმა გოჩამ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ კომისიას უფლება აქვს, განიხილოს მხოლოდ საჯარო მოსამსახურეების მხრიდან საარჩევნო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის ფაქტები.

ბატონმა დანიელ დავითაშვილმა („პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“) ცესკო-ს წარმომადგენელს მიმართა და აღნიშნა, რომ წინა წლებში არჩევნებისთვის მზადების პერიოდში ცესკო-მ რამდენიმეჯერ ჩაატარა ტრენინგი საუბნო კომისიის წევრებისთვის, საუბნო კომისიის თავმჯდომარეებისთვის, მოადგილეებისა და მდივნებისთვის, რომლებიც სექტემბრის ბოლოს აირჩევიან. მისი თქმით, საჭიროა ტრენინგების რაოდენობის შემცირება, რადგან ეს დაკავშირებულია ფინანსებთან.

მისივე თქმით, ტვ „პირველზე“ წინა დღეს გასულ გადაცემაში სამი პარტიის წარმომადგენლები („ლელო“, „ლეიბორისტული პარტია“ და „პატრიოტთა ალიანსი“) ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, რაც იშვიათი არაა და მსგავსი ფაქტები უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობაზე.

ბატონმა დანიელმა კვლავ თხოვნით მიმართა ცესკო-ს წარმომადგენელს, რომ საოლქო კომისიის თავმჯდომარეებს საკითხები განეხილათ დამტკიცებული დღის წესრიგის შესაბამისად. ამასთან,

მოითხოვა, ყურადღება მიექცეს ნაძალადევის მე-9 საოლქო კომისიის ადგილმდებარეობის განსაზღვრას.

ბატონმა გოჩამ სხდომის დასრულებამდე კომისიის წევრებს და დამსწრე პირებს მიაწოდა ინფორმაცია კომისიის შუალედურ ანგარიშთან დაკავშირებით. მისი თქმით, პროექტი წევრებს მიეწოდებოდა დღის განმავლობაში და რეაგირებების ნაწილში ახალი დამატებითი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ანგარიშის სრულყოფა მათ მიერ მასალების სამდივნოსთვის მიწოდების გზით.

ბატონი გიორგი კალანდარიშვილი გამოეხმაურა ბატონი დანიელის განცხადებას და აღნიშნა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ტრენინგები უმნიშვნელოვანესი პროცესია. მისი თქმით, ამ ეტაპზე განსაზღვრულია სამ-ოთხციკლიანი სპეციალური ტრენინგები. ამასთან, ფინანსური კუთხით ამ ნაწილში რაიმეს შეცვლის თვალსაზრისით გადასახედი იქნება საკითხი, რაც ცესკო-ს კომპეტენციიდან გამომდინარე, შეუძლებელია. როგორც მან აღნიშნა, ტრენინგების ჩატარებას უზრუნველყოფს ცესკო-ს სწავლების ცენტრი და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების პროფესიონალიზმის ზრდა დამოკიდებულია ამ ტრენინგებზე, რათა კენჭისყრის დღე წარიმართოს მაღალი სტანდარტებით, რასაც ადმინისტრაცია წლების განმავლობაში, ახორციელებს და ხვეწს.

დასასრულ, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ, კომისიის დებულების თანახმად, ოქტომბრიდან კომისიის სხდომები გაიმართება კვირაში ერთხელ და მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს კომისიის მუშაობაში ჩართვისთვის.

სხდომა დასრულდა 12:55 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე: ბ. ფხაკაძე

კომისიის მდივანი: ს. ფეფინ